

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო

ფაკულტეტის საბჭოს სხდომის

ოქმი №25

30.03.2018 წ

საბჭოს სხდომის სიითი შემადგენლობის 215 წევრიდან დაესწრო 195 წევრი

(დასწრების სია თან ერთვის ოქმს).

დღის წესრიგი

1. სამშენებლო ფაკულტეტის ბიუჯეტში ცვლილებები.
მომხსენებელი ფაკულტეტის მენეჯერი, პროფესორი გ. გურეშიძე;
2. სასწავლო საგანმანათლებლო პროგრამის მოდერნიზაცია.
მომხსენებელი ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის უფროსი, პროფესორი მ. ჯავახიშვილი
3. მიმდინარე საკითხები;

1. **მოისმინეს:** ფაკულტეტის მენეჯერის, პროფესორ გ. გურეშიძის მოხსენება, ფაკულტეტის ბიუჯეტში ცვლილებების შესახებ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ფაკულტეტის ბიუჯეტში, კლასიფიკატორის თანახმად, მოხდა თანხების გადანაწილება, კერძოდ:

2018 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი გაიზარდა 2018 წლის 01 იანვრისათვის არსებული გარდამავალი ნაშთით 785 495 ლარით, ხოლო სწავლის საფასურიდან მისაღები შემოსავალი სტუდენტთა კონტიგენტის კლების გამო შემცირდა 100 125 ლარით და სულ შემოსავალი ნაცვლად გათვალისწინებული 5 619 168 ლარისა, განისაზღვრა 6 394 538 ლარით. ამასთან ადმინისტრაციისა და ადმინისტრირების გადასახდელების დაფინანსებისათვის გადასაცემი თანხა გაიზარდა 154 563 ლარით და შეადგინა 750 000 ლარი. ზოგადსაუნივერსიტეტო საგნების სწავლების დასაფინანსებლად გასაცემი თანხა გაიზარდა 44 799 ლარით და შეადგინა 325 849 ლარი, ხოლო ზოგადსაუნივერსიტეტო საგნების სწავლების დასაფინანსებლად მისაღები თანხა ასევე გაიზარდა 31 500 ლარით.

ყველა ცვლილების გათვალისწინებით, ფაკულტეტის განსაკარგი შემოსავალი გაიზარდა 517 508 ლარით და განისაზღვრა 5 260 189 ლარით. შესაბამისად, გადასახდელებიც გაიზარდოს აღნიშნული თნხით და განისაზღვროს 5 260 189 ლარით.

გადასახდელები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით დამტკიცდეს შემდეგი სახით:

- 1.1 „შრომის ანაზღაურება“ – 3 078 450 ლარი;
- 1.2 „საქონელი და მომსახურება“ – 1 365 049 ლარი, მათ შორის: „შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება“ – 383 909 ლარი; „მივლინება“ 30 000 ლარი; „ოფისის ხარჯი“ – 770 640 ლარი; „წარმომადგენლობითი ხარჯები“ – 15 000 ლარი; „სამედიცინო ხარჯები“ – 5 000 ლარი; „რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთანდაკავშირებული ხარჯები“ – 23 500 ლარი; „ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღისექსპლოატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები“ – 0; „სახვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება“ – 137 000 ლარი;
- 1.3 პროცენტები - 30 625 ლარი;
- 1.4 „სოციალური უზრუნველყოფა - 30 000 ლარი;
- 1.5 „სხვა ხარჯები“ – 452 065 ლარი;
- 1.6 „არაფინანსური აქტივების ზრდა“ – 304 000 ლარი, მათ შორის: „შნობა- ნაგებობები“ – 170 000 ლარი; „ მანქანა-დანადგარები და ინვენტარი - 99 000 ლარი; „სხვა ძირითადი აქტივები“ – 35000 ლარი.

აზრი გამოთქვს: პროფესორებმა ტ. კვიციანმა, მ. ბაქრაძემ და მ. წიქარიშვილმა, რომლებმაც აღნიშნეს, რომ ბიუჯეტის შედგენის დროს მენეჯერის სამსახურმა ჩაატარა დიდი სამუშაო და მხარი დაუჭირეს ბიუჯეტს.

დაადგინეს: ფაკულტეტის მენეჯერის მიერ წარმოდგენილი ფაკულტეტის ბიუჯეტის ცვლილებები წარდგენილ იქნას წარმომადგენლობით საბჭოზე დასამტკიცებლად.

დადგენილება მიღებულ იქნა ერთხმად.

2. **მოისმინეს:** ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის უფროსის, პროფესორ მ. ჯავახიშვილის მოხსენება, საგანმანათლებლო პროგრამის მოდერნიზაციის შესახებ. მომხსენებელმა ინფორმაცია მიაწოდა საბჭოს რეფორმებიდან გამომდინარე, ახალი სასწავლო პროგრამების და გეგმების შედგენის და დაზუსტების სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ. აღნიშნა, რომ ძირითადი სამუშაოები დამთავრებულია და ამჟამად მიმდინარეობს ცალკეული საკითხების დაზუსტება (მოხსენება თან ერთვის ოქმს.)

მოდერნიზირება განიცადა შემდეგმა პროფესიულმა საგანმანათლებლო პროგრამებმა:

1. თაბაშირმუყაოს სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიულმა საგანმანათლებლო პროგრამამ;
2. მშენებლობის მწარმოებლის მეოთხე საფეხურის პროფესიულმა საგანმანათლებლო პროგრამამ;
3. აშწე-სატრანსპორტო მანქანებისა და ლიფტების ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიულმა საგანმანათლებლო პროგრამამ;
4. სამშენებლო-საგზაო-სალიანდაგო მანქანებისა და მოწყობილობების ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიულმა საგანმანათლებლო პროგრამამ;
5. სამშენებლო-საგზაო-სალიანდაგო მანქანებისა და მოწყობილობების ტექნიკოსის მეოთხე საფეხურის პროფესიულმა საგანმანათლებლო პროგრამამ.

1. თაბაშირმუყაოს სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირების შესახებ:

1. დაზუსტდა საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის განკუთვნილი თეორიული სწავლების აუდიტორიების მისამართი და მიეთითა სტუ-ს პირველი კორპუსი - მ. კოსტავას #68.
2. შეიცვალა საწარმოო პრაქტიკის განმახორციელებელი ორგანიზაცია. შპს „კნაუფ გიპს თბილისის“ - ის ნაცვლად ხელშეკრულება გაფორმდა ორგანიზაციასთან შპს „ანაგთან“;
3. სასწავლო კურსში „თაბაშირმუყაოს კონსტრუქციების მემონტაჟე“ დაზუსტდა სილაბუსის ავტორის სამუშაო ადგილის მისამართი;
4. სასწავლო კურსში „მასალათმცოდნეობა“ დაზუსტდა სილაბუსის ავტორის სამუშაო ადგილის მისამართი;
5. სასწავლო კურსში „ინფორმატიკის საფუძვლები“ დაზუსტდა სილაბუსის ავტორის სამუშაო ადგილის მისამართი; ასევე დაზუსტდა თანამდებობა: ასისტენტ-პროფესორის ნაცვლად მიეთითა ასოცირებული პროფესორი;
6. სასწავლო კურსში „სასწავლო პრაქტიკა“ დაზუსტდა სილაბუსის ავტორის სამუშაო ადგილის მისამართი;
7. სასწავლო კურსში „საწარმოო პრაქტიკა“ დაზუსტდა სილაბუსის ავტორის სამუშაო ადგილის მისამართი;

2. მშენებლობის წარმოების მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირების შესახებ:

1. საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის აგული სოხაძის გარდაცვალების გამო, ამოღებულ იქნა საგანმანათლებლო პროგრამიდან და ხელმძღვანელად დარჩა მხოლოდ ლია ბალანჩივაძე.
2. ავტორის გარდაცვალების გამო შეიცვალა სასწავლო კურსის „მშენებლობის წარმოების ტექნოლოგიის“ განმახორციელებელი პედაგოგი. სასწავლო კურსს ზურაბ ეზუგბაიას ნაცვლად განახორციელებს შახი ბაქანიძე.
3. შეიცვალა სასწავლო კურსის „ინგლისური ენა B1“ განმახორციელებელი პედაგოგი. ანა ჩხეიძის ნაცვლად სასწავლო კურსს განახორციელებს სოფიკო ფეტელავა.
4. ავტორის გარდაცვალების გამო შეიცვალა სასწავლო კურსის „წარმოების დაგეგმვა და მართვა“ განმახორციელებელი პედაგოგი. ჯემალ ჩოგოვაძის ნაცვლად სასწავლო კურსს განახორციელებს მურმან ბაქრაძე;
5. სილაბუსის ავტორის ემერიტუსად გასვლის გამო შეიცვალა სასწავლო კურსის „შენობა-ნაგებობათა ფუძე-საძირკვლების“ განმახორციელებელი პედაგოგი. ვიქტორ ჯაფარიძეს ნაცვლად სასწავლო კურსს განახორციელებს გიორგი ლუტიძე.

6. სასწავლო პროგრამაში მიეთითა სასწავლო პრაქტიკის განმახორციელებელი ორგანიზაცია შპს „ზიმო“.

7. სასწავლო კურსებში: ლითონის კონსტრუქციების გაანგარიშების საფუძვლები, მეწარმეობის საფუძვლები, მშენებლობის წარმოების ტექნოლოგია, ტექნიკური მექანიკა, ქვისა და რკინაბეტონის კონსტრუქციების გაანგარიშების საფუძვლები, შენობა-ნაგებობათა ფუძე-საძირკვლები, წარმოების დაგეგვა და მართვა, ხისა და პლასტმასის კონსტრუქციების გაანგარიშების საფუძვლები დაზუსტდა სილაბუსის ავტორების სამუშაო ადგილის მისამართი;

3. ამწე-სატრანსპორტო მანქანებისა და ლიფტების ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირების შესახებ:

1. შეიცვალა სასწავლო კურსის „ამწე-სატრანსპორტო მანქანებისა და ლიფტების სტრუქტურული აგებულება და მომსახურება“ განმახორციელებელი ადამიანური რესურსი. პროგრამიდან ამოღებულ იქნა ჰამლეტ წულაია, თეიმურაზ ბუხნიკაშვილი, ნიკოლოზ ნარეშელაშვილი და მათ ნაცვლად დაემატა ნოშრევან წულუკიძე.

2. შეიცვალა სასწავლო კურსის „საწარმოო პრაქტიკა (ამწე-სატრანსპორტო მანქანები)“ განმახორციელებელი ადამიანური რესურსი. ნიკოლოზ ნარეშელაშვილის ნაცვლად სასწავლო კურსს განახორციელებს იური მამაჯანოვი.

3. დაზუსტდა ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსის შესახებ. კერძოდ ლაბორატორიის და სასწავლო სახელოსნოს ნუმერაცია.

4. დაზუსტდა სასწავლო კურსების „ინფორმაციული ტექნოლოგიები (შესავალი ინფორმატიკაში)“, „უსაფრთხოება მანქანებთან მუშაობისას“, „ამწე-სატრანსპორტო მანქანებისა და ლიფტების სტრუქტურული აგებულება და მომსახურება“, „საწარმოო პრაქტიკა (ამწე-სატრანსპორტო მანქანები)“ სილაბუსის ავტორების სამუშაო ადგილის მისამართი;

4. სამშენებლო-საგზაო-სალიანდაგო მანქანებისა და მოწყობილობების ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირების შესახებ:

1. შეიცვალა სასწავლო კურსის „სამშენებლო-საგზაო-სალიანდაგო მანქანებისა და მოწყობილობების სტრუქტურული აგებულება და მომსახურების“ განმახორციელებელი ადამიანური რესურსი. ლიანა სუთიძეს ნაცვლად სასწავლო კურსს განახორციელებს მიხეილ შლაკაძე. ასევე ამ სასწავლო კურსის განმახორციელებელ ადამიანურ რესურსს დაემატა იური მამაჯანოვი.

2. შეიცვალა სასწავლო კურსის „საწარმოო პრაქტიკა (სამშენებლო მანქანები)“ განმახორციელებელი ადამიანური რესურსი. ლიანა სუთიძის ნაცვლად სასწავლო კურსს განახორციელებს იური მამაჯანოვი.

3. დაზუსტდა ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსის შესახებ. კერძოდ ლაბორატორიის და სასწავლო სახელოსნოს ნუმერაცია.

5. დაზუსტდა სასწავლო კურსების „ინფორმაციული ტექნოლოგიები (შესავალი ინფორმატიკაში)“, სამშენებლო-საგზაო-სალიანდაგო მანქანებისა და მოწყობილობების სტრუქტურული აგებულება და მომსახურება, უსაფრთხოება მანქანებთან მუშაობისას, საწარმოო პრაქტიკა (სამშენებლო მანქანები) სილაბუსის ავტორების სამუშაო ადგილის მისამართი;

4. სასწავლო პროგრამაში მიეთითა სასწავლო პრაქტიკის განმახორციელებელი ორგანიზაცია: შ.პ.ს. ანაკლიის „განვითარების კონსორციუმი“ - ხელშეკრულება№01-08-15/407-2018-2, შ.პ.ს. „ჯეონვესტი“- ხელშეკრულება№01-08-15/409-2018-2

5. სამშენებლო-საგზაო-სალიანდაგო მანქანებისა და მოწყობილობების ტექნიკოსის მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირების შესახებ:

1. შეიცვალა სასწავლო კურსის „ინგლისური ენა B1“ განმახორციელებელი პედაგოგი. ანა ჩხეიძის ნაცვლად სასწავლო კურსს განახორციელებს სოფიკო ფეტელავა.

2. შეიცვალა სასწავლო კურსის „მეწარმეობის საფუძვლები“ განმახორციელებელი ადამიანური რესურსი. გიორგი მაისურაძის ნაცვლად სასწავლო კურსს განახორციელებს დავით ბაქრაძე;

3. შეიცვალა სასწავლო კურსის „სამანქანათმშენებლო ხაზვის“ განმახორციელებელი ადამიანური რესურსი. ნოდარ აბულაძის ნაცვლად სასწავლო კურსს განახორციელებს მია ბარბაქაძე. ასევე ამ სასწავლო კურსს დავით ბაქრაძის ნაცვლად განახორციელებს ნოშრევან წულუკიძე.

4. შეიცვალა სასწავლო კურსის „სამშენებლო-საგზაო-სალიანდაგო მანქანები და მოწყობილობების“ განმახორციელებელი ადამიანური რესურსი. ლიანა სუთიძის ნაცვლად სასწავლო კურსს განახორციელებს ნოშრევან წულუკიძე.

5. შეიცვალა სასწავლო კურსის „მანქანების მონტაჟი, ექსპლუატაცია და მომსახურების“ განმახორციელებელი ადამიანური რესურსი. მიხეილ შილაკაძეს ნაცვლად სასწავლო კურსს განახორციელებს გიორგი ნადირაშვილი.

6. დაზუსტდა სასწავლო კურსების: ინფორმატიკა I, მეწარმეობის საფუძვლები, სამანქანათმშენებლო ხაზვა, უსაფრთხოება სპეციალურ მანქანებთან მუშაობისას, სამშენებლო-საგზაო-სალიანდაგო მანქანები და მოწყობილობები, მანქანების მონტაჟი, ექსპლუატაცია და მომსახურება, სილაბუსის ავტორების სამუშაო ადგილის მისამართი;

7. დაზუსტდა ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსის შესახებ. კერძოდ ლაბორატორიის და სასწავლო სახელოსნოს ნუმერაცია.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების გაუქმების შესახებ:

გაუქმდეს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

1. ზეინკალ-სანტექნიკოსის მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
2. კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკის (AutoCad) ოპერატორის მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
3. კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკის (AutoCad) ოპერატორის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
4. მშენებლობის მწარმოებლის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
5. საავტომობილო გზებისა და აეროდრომების მშენებელ-ტექნიკოსის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
6. საავტომობილო გზებისა და აეროდრომების მშენებელ-ტექნიკოსის მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
7. ჰიდროტექნიკური მშენებლობის მწარმოებლის მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
8. ჰიდროტექნიკური მშენებლობის მწარმოებლის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.

აზრი გამოთქვეს: პროფესორებმა: დ. გორგიძემ, მ. წიქარიშვილმა, ტ. კვიციანმა, ლ. კახიანმა, ლ. ბალანჩივაძემ, ზ. გვიშიანმა, მ. შილაკაძემ, გ. ნადირაშვილმა, შ. ბაქანიძემ, ნ. მსხილაძემ.

დაადგინეს: ეთხოვოს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს დაამტკიცოს ფაკულტეტის საბჭოზე განხილული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები მოდიფიცირებული სახით, ასევე დამტკიცდეს ზემოხსენებული საგანმანათლებლო პროგრამების გაუქმების საკითხი.

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მ. ჯავახიშვილის ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების მოდიფიცირების შესახებ.

მოდიფიცირება განიცადა შემდეგმა საგანმანათლებლო პროგრამებმა:

ბაკალავრიატი:

1. მშენებლობა
2. მშენებლობის მენეჯმენტი
3. სამშენებლო სატრანსპორტო-ტექნოლოგიური საშუალებები
4. Строительство

მაგისტრატურა:

5. მშენებლობა
6. მშენებლობის მენეჯმენტი
7. Water Engineering

დოქტორანტურა:

8. მშენებლობა
9. ჰიდროინჟინერია
10. საგზაო ინფრასტრუქტურა და მიწისქვეშა ხელოვნური ნაგებობები
11. სამხედრო ინჟინერია
12. Water Engineering

პროფესიული:

13. მოდულური - კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკის ოპერატორი (მოხსენება ჩაწერილია დისკზე რომელიც თან ერთვის ოქმს)

შეკითხვები დასვეს პროფესორებმა: ლ. კახიანმა, ე. ქრისტესიაშვილმა და ო. ხაზარაძემ.

აზრი გამოთქვს: პროფესორებმა რ. იმედაძემ, დ. ტაბატაძემ და ნ. მურდულიამ, რომლებმაც აღნიშნეს, რომ ჩატარებულა დიდი სამუშაოები პროგრამების და სასწავლო გეგმების ახალი მოთხოვნების შესაბამისად შესაქმნელად და მხარი დაუჭირეს სწავლების ხარისხის სამსახურის მიერ წარმოდგენილ მოდერნიზებულ და დაზუსტებულ პროგრამებს და სასწავლო გეგმებს.

დაადგინეს: მხარი დაეჭიროს, პროფესორ მ. ჯავახიშვილის მიერ წარდგენილ სასწავლო პროგრამებს და გეგმებს, მათი ახალი სახით მოდერნიზაციით და დაზუსტდეს დარჩენილი საკითხები, რომლებიც მოითხოვენ ამას.

დადგენილება მიღებული ერთხმად.

3. **მოისმინეს:** ფაკულტეტის მენეჯერის პროფესორ გ. გურეშიძის ინფორმაცია 1.ასოცირებული პროფესორის ია მშვიდლობაძის დამხმარე სახელმძღვანელოს „მეთოდური მითითება გრუნტების მექანიკის ლაბორატორიული სამუშაოების შესასრულებლად“ დაბეჭვდის დაფინანსების (ავტორი ასოც. პროფესორი ია მშვიდლობაძე) შესახებ.

აზრი გამოთქვა: პროფესორმა გ. ჭოხონელიძემ, რომელმაც მოიწონა წარმოდგენილი დამხმარე სახელმძღვანელო და მხარი დაუჭირა მის დაბეჭვდას.

2. სამშენებლო ფაკულტეტის №102 დეპარტამენტის პროფესორს ლია ბალანჩივაძეს ესაჭიროება ძვირადღირებული სამედიცინო კვლევები.

დაადგინეს:

1. სამშენებლო ფაკულტეტის საბჭო მხარს უჭერს ი. მშვიდლობაძის დამხმარე სახელმძღვანელოს „მეთოდური მითითება გრუნტების მექანიკის ლაბორატორიული სამუშაოების შესასრულებლად“ გამოცემას და მისი გამოცემის დაფინანსებას 300 (სამასი) ლარის ოდენობით.

2. სამშენებლო ფაკულტეტის ბიუჯეტის „დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარების“ მუხლიდან სამშენებლო ფაკულტეტის პროფესორს ლია ბალანჩივაძეს დახმარება გაეწიოს ერთი თვის ხელფასის ოდენობით.

დადგენილება მიღებულია ერთხმად.

სამშენებლო ფაკულტეტის საბჭოს

თავმჯდომარე, პროფესორი

დ. გურგენიძე

სამშენებლო ფაკულტეტის საბჭოს

მდივანი, პროფესორი

რ. იმედაძე